ფასი 10 მ.

ეშმაკის მათრახი

№ 31

1920 წ.
ივნისის 27

ნებიერი ბავშვი

სომხეთის მთავრობამ პროტესტი განაცხადა საქართველოს და რუსეთ შორის დადებულ ხელშეკრულობის გამო: ბორჩალო, ახალქალაქი მაზრა და ბათომის ოლქის ნაწილი სომხეთის საზღვრებში უნდა შევიდესო. (გაზეთებიდან)

პატრიარქი ნოე (არარატზე ზის, მუხლზე პატარა პოლოსა ჰყავს) დასწყევლოს ღმერთმა! ჩემს დღეში არ მინახავს ასეთი ხარბი და გაუმაძღარი ბალღი! რასაც დაინახავს, ყველაფერს ეპოტინება: ჩემია და ჩემია! არ ვიცი, როგორ მოვუარო... ლამის არის ხელიდან გამისხლტეს და გადაიჩეხოს!..

ბატონ კიროვთან.

საბჭოთა რუსეთის დიპლომატიური მისია რომ ჩამოვიდა, ჩვენი ჟურნალის რედაქციამ მომანდო ბატონ კიროვთან წასვლა ინტერვიუსათვის.

მართალი უნდა მოგახსენოთ, წასვლის წინ, ცოტა არ იყოს, მღელვარება მეტყობოდა.

აბა, ხუმრობა რომ არ იყო, მე, ბურჟუაზიული საქართველოს მოქალაქე, უაღრესი სოციალ-პატრიოტი და კონტრრევოლუციონერი უნდა წავმდგარიყავი სოციალისტური ქვეყნიდან ჩამოსულის წინდა წყლის კომუნისტის წინაშე.

ზემი მაშინდელი გრძნობა დაახლოვებით იმასა ჰგავდა, რასაც, ალბად, ცოდვილი მარიამ მაგდალინელი განიცდიდა ყოვლად-უცოდველ მაცხოვართან დალაპარაკების წინ.

ორშაბათ დილით, საათის 10-ზე მივადექი საბჭოთა მისიის კარებს და დავრეკე.

კარგა ხნის ლოდინის შემდეგ კარი გამიღო ერთმა ახოვანმა მეზღვაურმა, რომელსაც ხელში დიდი კოვზი ეჭირა და მარცხენა ლოყა წამოსივებული ჰქონდა. სახეზე ეტყობოდა, რომ არ ეცალა და ეჩქარებოდა.

მეზღვაური ჩუმად მომაჩერდა თვალებში მისგან ხმის ამოღებას რომ ვერ ვეღირსე, მე თითონ დავარღვიე ეს ახირებული სიჩუმე.

— მე ბატონი კიროვის ნახვა მინდა. ჟურნალ „ეშმაკის მათრახის“ წარმომადგენელი გახლავარ. ინტერვიუსათვის ? ამომგზავნეს,—ვუთხარი მეზღვაურს.

მან ყბები შეანძრია, მარცხენა ლოყის სიმსივნე ჩაჰყლაპა და მიპასუხა:

— ამხანაგ კიროვს არა სცალიან: პურსა სჭამს!

მოტრიალდა და წავიდა.

კარი რომ შეაღო და ოთახში შედიოდა, თვალი მოვჰკარი უზარმაზარ სუფრას, რომელსაც გარს უსხდა ასამდე კაცი. ხმას არავინ იღებდა, თეფშების რახა-რუხი ისმოდა მხოლოდ.

— ასი კაცი!—ვფიქრობდი გზაში, რედაქციაში რომ ვბრუნდებოდი: ალბად „მისია“ წარმოსდგება სიტყვისაგან „მისევა“, თორემ ამდენი კაცი რა საჭირო იყო?

მეორე ჯერ საათის პირველზე ვცადე კიროვის ნახვა. გამეორდა იგივე, რაც დილით მოხდა; იმ განსხვავებით, რომ ეხლა მეზღვაურის მაგიერ ვილაც შაგვრემანი და დიდ-ცხვირა ჭაბუკი გამოვიდა. ხელში კოვზის ნაცვლად ჩანგალი ეჭირა და ორივე ლოყა ჰქონდა წამოსივებული.

— არა სცალიან: პურსა სჭამს, მიპასუხა შაგვრემანმა ყმაწვილმა ლოყათა სიმსივნე რომ შთანთქა ყბების ერთი-ორი მოქნევით.

სამს დღეს ვიარე ასე უშედეგოთ და მხოლოდ დღეს დილით ვეღირსე საბჭოთა ელჩის ნახვას.

სამი დღის გაუნელებელ პურის ჭამას თავისი გაეტანა და ბატონი კიროვი კარგა მოჯობინებული დამიხვდა.

კითხვები წინასწარვე მზად მქონდა და ჩვეულებრივ მისალმების შემდეგ საქმეს შევუდექი:

— სოციალისტური წყობილება წარმოების იარაღისა და საშვალებათა განსაზოგადოებრივებას გულისხმობს. შეასრულეთ თუ არა რუსეთში ეს აუცილებელი პირობა სოციალიზმისა?—ვკითხე მე უპირველეს ყოვლისა.

— დიაღ, ბატონო!—მიპასუხა კიროვმა: ქარხნები და ზავოდები დიდი ხანია განსაზოგადოებრივებულია. თქვენ ვერ ნახავთ რუსეთში ისეთ ოჯახს, რომელსაც ქარხნის მანქანის რომელიმე ნაწილი არ ჰქონდეს სახლში: მთავარ ბორბლებიდან და თვლებიდან დაწყებული ვიდრე პაწაწინა კოჭუურებამდე და მარჭვლებამდე სულ განაწილებული და დარიგებულია.

— კეთილი. ეხლა მიბრძანეთ, როგორ არის სოციალისტურ რუსეთში სიტყვის თავისუფლების საქმე? ოპოზიციის პრესა რაიმე დეენას ხომ არ განიცდის მთავრობისაგან?

— არასოდეს. მართალი უნდა მოგახსენოთ, მე ამ მხრივ აქაური ამბავი მაკვირვებს. რა თქმა უნდა, თქვენ ჩემზე კარგათ გეცოდინებათ, რომ ამას წინათ თქვენმა მთავრობამ აქ, თბილისში, კომუნისტური გაზეთი დახურა. ასეთ უსამართლობას საბჭოთა რუსეთში ვერ შეხვდებით. **არც ერთ ოპოზიციურ გაზეთს ჩვენი მთავრობა არ ჰხურავს იქა.**

— რამდენი ოპოზიციური გაზეთი გამოდის ამ ჟამად რუსეთში დაახლოვებით?—ვკითხე მე.

— არც ერთი!

— და მაინც არ ჰხურავს მთავრობა?

— დიახ, მაინც არ ჰხურავს,—დაადასტურა კიროვმა.

— ეს მართლაც რომ საოცარი რამ ყოფილა, —შევნიშნე მე: არც ერთი გაზეთი არ გამოდის და მთავრობა კი მაინც არ ხურავს!

— ერთი მიბრძანეთ, ბატონო, განვაგრძე მე: რა მდგომარეობაშია სოციალისტურ რუსეთში სიკვდილით დასჯის საკითხი?

სიკვდილით დასჯა სამუდამოთ გავაუქმეთ.

— მაშ ეხლა რუსეთში არავინ ისჯება სიკვდილით.

— არა, მე მაგას არ მოგახსენებთ. საქმე ის გახლავთ, რომ სიკვდილით დასჯა გავაუქმეთ იმათთვის, ვინც სამხედრო ვალდებული არ არის. თქვენ თითონ დამერწმუნებით, ბატონო, რომ სამოქალაქო ომის დროს ჯარში სიკვდილით დასჯის მოსპობა სისულელე იქნებოდა; ამის გამო სიკვდილით არ დაისჯებიან ისინი, ვინც სამხედრო ვალდებულნი არ არიან და საომარ წესების ფარგალ გარეშე ცხოვრობენ.

— ბევრია სამხედრო ვალდებული რუსეთში? ვკითხე მე

— რუსეთში მცხოვრებნი ყველანი სამხედრო ვალდებულებათ ითვლებიან!

— რა და რა ადგილებშია გამოცხადებული სამარი წესები?

— საბჭოთა რუსეთის მთელ ტერიტორიაზე!

— მაშასადამე სიკვდილით დასჯა გაუქმებული ყოფილა იმათთვის, ვინც საბჭოთა რუსეთის საზღვრებს გარეშე ცხოვრობს, მაგალითად, საფრანგეთში, ინგლისში... ეჰვი არ არის, დასავლეთ ევროპისა და ამერიკის მცხოვრებნი დიდ მადლობას გრძნობენ თქვენდამი ამ გვარის ლმობიერებისათვის,- შევნიშნე მე აღტაცებით.

— რა თქმა უნდა! ჩვენ მოგვდის აუარება რეზოლიუციები და დადგენილებანი ამის შესახებ, კვერი დამიკრა კიროვმა.

— როგორ არის სათბობი მასალის, მაგალითად შეშის, საკითხი სოციალისტურ რუსეთში?

— ზამთარში ამ მხრით დიდ კრიზსს განვიცდით, მიპასუხა კიროვმა, დღეში ათასამდე კაცი იყენებოდა, მაგრამ ჩვენი მთავრობის დაუშრეტელი ენერგიისა და მხნეობის წყალობით ამ ჟამათ სრულიადაც არ ვგრძნობთ უშეშობას. თამამად შემიძლია ვთქვა, რომ უკანასკნელ ორი თვის განმავლობაში მოსკოვში და პეტროგრადშიაც ერთი კაციც არ გაყინულა სახლებშიაც საკმაოდ თბილა. მეტსაც მოგახსენებთ: გაძლევთ პატიოსან სიტყვას, რომ კიდევ სამ თვეს შეგვიძლიან ვიცხოვროთ ისე, რომ ერთი ნაჭერი შეშის შემოტანაც კი არ დაგვჭირდება.

— რასა ბრძანებთ?—გულწრფელად შევძახე მე: გამოდის, რომ მარიამობისთვის დამლევამდე შეშა არ მოგინდებათ ოთახების გასახურებლათ!

— დაახ, დიახ!—ამაყათ წარმოსთქვა კიროვმა.

— მე მგონია, რომ სხვა მრავალ ჭორს არ ჩამოუარდება ის ამბავი, თითქოს საბჭოთა რუსეთში მარილი არ იშოვებოდეს და ამის გემო ხალხის ერთ თავად სურავანდით იყოს ავად,—ვკითხე მე.

— რასაკვირველია! პირიქით, ჩვენმა მეცნიერებამ მიაგნეს ახალსა და საოცარს საშვალებას, რომლის წყალობით მარილი სულ ადვილათ იშოვება. ამ მიზნისათვის ჩვენ ვჩეხავთ და თხელ ყავრებათ ვაქცევთ ნათევზარ ბოჭკებს, შემდეგ ვხარშავთ ამ მარილით გაჟღენთილ ყავრებს და წვენს მშვენიერათ ვხმარობთ მარილის მაგიერათ.

— გაუმარჯოს მეცნიერებას! —ვეღარ მოვითმინე და დავიყვირე მე.

— მაპატიეთ, რომ ამდენ დროს გაკარგვინებთ, ბოდიში მოვიხადე, მე რაკი თეფშების რახა-რუხი მომესმა და ჩემს მობაასესაც მოუთბენლობა დაეტყო.—ერთი კითხვა კიდევ: რამდენი მცხოვრებია. ამ ჟამათ მოსკოვში და რამდენი იყო სოციალიზმამდე?

— სოციალიზმამდე მოსკოვში ორ მილიონ ნახევარი ხალხი სცხოვრობდა, ხოლო ამ ჟამად ნახევარი მილიონი მცხოვრები გახლავთ,—მიპასუხა მან.

— მაშ რაღაც ორი წლის განმავლობაში ხუთ ჯერ შემცირებულა მცხოვრებთა რიცხვი! ეს ყველაზე უფრო საგულისხმიერო ამბავია ჭეშმარიტად, რადგან ერთი ათი წელიწადი კიდევ-და მოსკოვში გეყოლებათ იმდენი მცხოვრები, რამდენიც ეს ვთქვათ, ქალაქ თელავშია, ე. ი. 20.000 კაცი. მაშინ, რა თქმა უნდა, სულ ადვილათ მოიშორებთ თავიდან ყოველსავე ეკონომიურ კრიზისსა და გაჭირვებას. გაუმარჯოს საბჭოთა რუსეთს, ბატონო ელჩო, დიდ მადლობას მოგახსენებთ და მშვიდობით ბრძანდებოდეთ! წამოვიძახე მე და გამოვსწიე.

ბ. კიროვი პურის საჭმელ ოთახში შევიდა. კარები რომ შეაღო თვალი მოვჰკარი მისიის უთვალავ წევრებს, რომელთაც, ლოყები საშინლათ დასიებოდათ.

საძაგელი სენია ეს ფლიუსი!

თაგუნა.

* * *

ცის კაბადონი დაისერა ცეცხლის ალებათ.
საამურ ზღაპრებს გვეუბნება სეტყვა და მეხი.
მზე დედა-მიწას დაეფრქვია ალურ ქალებათ.
ჭოროხის პირზე სახლს იშენებს ქორფა სომეხი.

წითელ კუბოში შავგვრემანობს ადერბეჭანი.
ოსნი სწამლობენ საქართველოს ფერ-ნაკლებობას.
კუკ-კოლისს ქალი შეეძინა,—აჭარისტანი,—
და... კომუნიზმი აზიაში იხდის ძეობას.

სხვის ყორანს ნაფიც ძმათ გაუხდა ჩვენი ღამურა.
ღომხდურ მტაცებელს პატარძალი უყვირის: აქში!
მინდორში გაშლილ ცხვარს სდარაჯობს ფხიზელი მურა.
ოზურგეთს თავი დაეკარგა დედა—ქალაქში.

წმინდა ტაძარში სამლოცველოთ შევიდა ჯორი.
მელა იცინის: სხვისი ძალით ძირს დასცა ლომი.
ჩვენს ნავთ-სადგურში თევზებს იჭერს ზღვის-ღორთა ღორი.
ახ, რა კარგია საცივი და ქაფქაფი ღომი!

ცის კაბადონი დაისერა ცეცხლის ალებათ.
საამურ ზღაპრებს გვეუბნება სეტყვა და მეხი.
მზე დედა-მიწას დაეფრქვია ალურ ქალებათ.
ჭოროხის პირზე სახლს იშენებს ქორფა სომეხი.

d.

მოსკოვის სამხატვრო თეატრი.

ლეიტენანტი ლუნუმი—ბაკშეევი
(ცხოვრების ბრჭყალებში).

ფრიდრიხსენი—მასალიტინოვი
(ცხოვრების ბრჭყალებში).

ჭკვის დამრიგებელს!

მამის სატეხეს დაარტყი ურო,
ხერხე, მოხაზე, სთალე, მორანდე,
რომ ასე გააყოველდღიურო.
ბურბუშელათა სამემორანდე...
(ვაჰ სულო, სულო ტიტანიურო!
ლამის არწივი გაგვიყორანდე
და ამ ყრანტალით უნდა გვიურვო
საუკუნეთა შორით, შორამდე...)
კვლეევას თუ დასწერს ხონელი ხუროს
და გამნახველობს თვით დოსტაქარი,
მაშ მე რადა ვქნა, ვის ვემსახურო,
გკადროთ პასუხი! თქვენ პირს შაქარი!—
ჩემი გვირგვინი ვის დავახურო.—
დათუნამ ჯამი მეფე ბაქარი.—
მითხარით, გული რით გავახურო,
მტერი თუ ჯერაც ისევ აქ არი!!?.
მზნეთ იყავ ჩემო, ობოლო სულო,
შენ ვერ მოგიდგეს ხუროს გონიო!
ქვეყანა იმით არ მოიძულო
თუ ვირებს ქოჯი კეხი ჰგონია.
შოთა ბროლიძე დალონებულა,
დაკარგა—რაც ვერ მოუგონია,—
მოსაძებნელათ ტყეში წასულა,
მინდორში ხმა ვერ გაუგონია...

სწორი არ არის ზოგი სიმართლე,
თუნდაც დიდ ყაფანს აუწონია!

ვინტარი.

სოვეტნიკები.

ფილიპე მახარაძის ისე მოულოდნელათ, და ისიც ფანჯრიდან გაქცევამ ძლიერ ჩამაფიქრა.

— იქნებ ვერ მოვეპყარი ასე, როგორც ამას რუსეთის ახალი წესი და ქართული კომუნისტების ზრდილობა მოითხოვს მეთქი,—ვფიქრობდი მე. მართლაც, წარმოიდგინეთ, იმდენი ხანი გაგრძელდა ჩემი ბაასი ფილიპესთან და ერთხელაც დედა არ შემიგინებია: არც მისთვის, არც ქართველი მენშევიკებისათვის. ცხადია, ჩემი ბურჟუაზიული კილო არ მოეწონა და ამისთვის შემომწყრა სამუსლიმანო აღმოსავლეთის მხსნელი და საქართველოზე ეგზომ მუხასათურად განწყობილი კომუნისტი ფილიპე. საჭიროა, კილო შევიცვალო! სწორეთ ამ ფიქრებში ვიყავ გართული, როცა ჩემს ოთახში მიხა ცხაკაია შემოვიდა.

— ზდრასტუი ტოვარიშ! ჯერ კიდევ კარებიდან მომძახა მოხუცმა, მაგრამ ვიდრე რამოდენიმე ნაბიჯს გადმოსდგამდა, ოთახის ყველა კუნჭულს მიმოავლო შემკრთალი თვალები, თითქო რაღაცას ეძებს და რიღაცის ეშინიოო.

— გაგიმარჯოს, ამხანაგო! დაჯექი!

— დროა, ტოვარიშ, ეტუ კონტრრევოლიუციონუიუ სვოლოჩ ობრაზუმიტ...

— ვისზე ლაპარაკობ, ამხანაგო?

— რასაკვირველია მედუქნეებზე ...

— დიახ, ეს სრული სიმართლეა, მედუქნეები მართლაც რომ ძლიერ ცუდათ იქცევიან. არავითარი ნიადაგი არა აქვს ასეთ სიძვირეს.

— ტი ჩტო, ტოვარიშ! მე ჩვენი ქვეყნის მენშევიკებზე გეუბნები, შენ მთვარეზე ხომ არა გგონია შენი თავი?

— მთვარეზე რისთვის უნდა მეგონოს, ამხანაგო. ყველა ჩვენგანმა უნდა იცოდეს, სად არის და რა საქმეს ემსახურება.

— ეტო, ტოვარიშ, ობსურდ! ყოველი კაცი კოსმოსშია და კოსმოსის ნაწილთან ერთად თითონ კოსმოსია. მე თითონ, ტოვარიშ, კოსმოსი ვარ და გარეშე კოსმოსისა ვერ წარმოიდგენია ჩემი თავი. უკოსმოსოთ კოსმოსი შეუძლებელია. თითოეულმა ჩვენთაგანმა, ტოვარიშ, რასაკვირველია უნდა იცოდეს თავისი ადგილი, მაგრამ ყველანი ერთად კოსმოსშია და კოსმოსის...

მიხა ცხაკაიამ კოსმოსის შესახებ სულ რაღაც სამი საათი ილაპარაკა. როგორც ყოველთვის, ახლაც ისე მომხიბვლელი, შინაარსიანი, დალაგებული და უმთავრესად მომენტის შესაფერი იყო მისი ლექცია.

მართალია, თავის ტკივილს უკვე ვგრძნობდი, მაგრამ მე შემეძლო კიდევ ნახევარი საათი გამეძლო კოსმოსელი ლექტორისათვის რომ უცებ მისაღებ ოთახიდან სერიოჟა ქავთარაძის მჭექარე ხმა შემომესმა.

— Видно, таварищи, старичок не может кончить! და ამ მოსწრებულ სიტყვას მოჰყვა გულიანი ხარხარი რამოდენიმე სოვეტნიკისა.

— მოლოდიოჟ შუმიტ, ტოვარიშ, განაგრძო მიხა ცხაკაიამ.— ახალგაზრდა წევრები კოსმოსისა, ტოვარიშ, მუდამ იჩქარიან...

— უკაცრავათ, სიტყვას გაწყვეტინებთ, ამხანაგო მიხა, მაგრამ ერთი ეს მიბრძანეთ, რა კილო აქვს აღებული ადგილობრივ პრესას ჩვენს შესახებ?

— Эта буржуазная сволочь, товарищъ, мерзавцы, духанщики, товариш, этики совсѣмъ не признаютъ, товарищъ. მე კომუნისტში დავუწერე იმ მამა...

რომ პრესაში საჭიროა რიგიანი კილო, მაგრამ შეასმენ რასმე მაგათ...

Уних, товарищ, подлая мелко буржуазная этика, по натурѣ мерзопакостная...

— თქვენ მაინც უჩვენეთ ,მაგალითი, ამხანაგო მიხა.

— Что вы, товарищъ, этой сволочи?.. когда я былъ въ Екатиринаславѣ... იქიდან მახსოვს, съ ними ничего не подѣлаешь...

როცა მე ეკატერინოსლავში ვიყავი, ლექციებს ვკითხულობდი, სამეგრელოში ძლიერ ბევრი მოქალაქე მიცნობს но у них этика прямо падлая...

მისაღებ ოთახში ხმაურობა თან და თან გაძლიერდა. მიხა ცხაკაია კი წასვლას სრულიადაც არ ფიქრობდა. ამ ხმაურობას ხელს უწყობდა ის ხუთი კომუნისტკა, (ოთხი ახალგაზრდა, ხოლო ერთი ხანში შესული) რომელნიკ სერიოჟა ქავთარაძეს კარებთან უცდიდენ.

მართალია, მათ საქმე არაფერი ჰქონდათ და შეეძლოთ მთელი დღე ცდა, მაგრამ ქალი საზოგადოთ მოუთმენელი და შეუგნებელია.

— ეს შეუძლებელია, თუ ამხანაგმა კიროვმა არ იცის ამხანაგი მიხას გაუთავებელი სურვილი ლაპარაკისა, ჩვენი მოვალეობაა შევაგნებიოთ მას ეს გარემოება.

მიხა ცხაკაიას ეს მუქარა მხოლოდ ღიმილს ჰგვრიდა.

— товарищ Сергѣй любитъ шумѣть. იბრახუნებს და დაწყნარდება, ტოვარიშ. онъ не сознаетъ въ себѣ космоса, а я это... просто брахи-брухи, что может Сереожа сдѣлать

— ამხანაგო მიხა, ეს ყოვლად შეუძლებელია, იქ უწესობა მოხდება, გთხოვ...

— Нѣт, товарищ Это сравнительныя понятія, როცა მე ეკატერინესლავში ვიყავი და ლექციებს ვკითხულობდი... это все чушь, я канечно могу кончить, но თქმით ბევრი სათქმელი

მქონდა пойду я, частица космоса въ космосъ;
прощай, товарищъ.

— მშვიდობით, ნახვამდის.

მიხა ცხაკაია ნელის ნაბიჯით გავიდა.

ეშმაკი.

პატარა ფელეტონი.

აბდალბეგანი

(სამდროთ ზღაპარი).

იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა, იყო ერთი კაცი, რომელსაც სახელათ აბდალაბეგანი ერქვა.

დედამიწის უმშვენიერესს კუთხეში ესახლა იგი, დიდძალი მიწა წყლისა და ქონების პატრონი; გარნა მრავალ სიკეთესთან ერთად მას ერთი დიდი ბუნებრივი ნაკლი ჰქონდა და ეს იყო მისი უსაზღვრო მწუხარების მიზეზი: შავგვრემანი იყო საბრალო!

სხვა და სხვა ფერის მახლობელთა შორის მის ყურადღებას იპყრობდა ერთი მეზობელი, რომლის სიწითლე მთელ სამყაროს ვარდისფრათ ელვარებდა.

სახელათ მას ვანკას უწოდებდენ, ხოლო გვარი მისი არავინ უწყოდა.

აბდალბეგანმა დანამდვილებით იცოდა, რომ ვანკა დაბადებიდან არ ყოფილა წითელი,—ის უკვე ხანში შესული ადამიანი იყო, როცა—რაღაც მანქანებით—ერთბაშათ გაწითლდა და გამშვენიერდა...

მისი წამხედურობით აბდალბეგანიც შეუდგა ფერის შესაცვლელ საშუალების ძებნას, მაგრამ ამაოთ: მისი ცდა ამ სფეროში უნაყოფო გამოდგა.

დაბოლოს მან დამოუკიდებელ კვლევა-ძიებას თავი დაანება და დახმარებისათვის ვანკასაკენ მიიქცა.

წითელმა მეზობელმა სიამოვნებით მიიღო აბდალბეგანის წინადადება და ერთ მშვენიერ დღეს კიდეც ეწვია მას, წითელი საღებავით აღჭურვილი.

მაგრამ, საუბედუროთ, აბდალბეგანის კანმა წითელი საღებავი არ მიიკარა...

— უბრალო საღებავი არა სჭრის, სისხლია საჭირო, გადაწყვეტით სთქვა ვანკამ.

სისხლი?! წამოიძახა შეშინებულმა აბდალბეგანმა, —მერე სად უნდა ვიშოვნო სისხლი?

— რა მოგახსენო?.. უნდა ვიშოვნოთ კი.

— უნდა ვიშოვნოთ... აი იმას გამოუღოთ, წამოიძახა აბდალბეგანმა პატარა პაუზის შემდეგ და ხელი მეორე მეზობლისაკენ გაიშვირა.

— გამოვუღოთ, დაეთანხმა მას ვანკა.

შეიარაღდენ დანებით და ეცენ მეზობელს.

მეზობელმა მათ თავში კეტი დაჰკრა და უკან გაბრუნა.

მეორეთ სცადეს ბედი, მაგრამ მაშინაც ისეთივე დღე დაადგათ.

მესამედაც განიმეორეს თავდასხმა, მაგრამ უნაყოფოთ: მეზობელმა ისინი ლაზათიანათ მიბეგვა და...

სასოწარკვეთილებაში ჩავარდა აბდალბეგანი.

— ნუ თუ სამუდამოთ უნდა გამოვეთხოვო ჩემს მიზანს?! ნაღვლიანათ წარმოსთქვა მან.

— რათა? განა შენ თითონ არა გაქვს სისხლი?

— მე?!

— დიახ.. საკუთარი სისხლი საუკეთესო საღებავია.

— არა, ძმაო, ეგ არ შემიძლია!

— სჩანს, შენ არ ყოფილხარ იდეის კაცი.

— რატომ?

— იმიტომ, რომ მაღალი მიზნისათვის გულწრფელათ მებრძოლი ადამიანი მსხვერპლის გაღებას არ დაიზარებს... მე თითონ ხომ საკუთარ სისხლში ვარ ამოვლებული.

— მართლა?!

— მაშ!

აბდალბეგანს რყევა დაეტყო

—ტყუილათ გეშინია, მეგობარო,—ტკბილათ უთხრა მას ვანკამ, სისხლის გამოშვება არც ისე ძნელი საქმეა, როგორც ეს ზოგიერთებს წარმოუდგენიათ..

— რომ არ შემღებოს?—ეჭვი გამოსთქვა აბდალბეგანმა.

— როგორ გეკადრება?! სისხლს ისეთი თვისება აქვს, რომ.... განა მე თითონ არა ვარ ამის ცოცხალი მაგალითი?

დიდი ხნის ყოყმანის შემდეგ აბდალბეგანმა მიიღო წითელი მეგობრის რჩევა..

საჩქაროთ გააკეთებინეს დიდი ვარცლი.

აბდალბეგანი შიგ ჩაწვა.

ვანკამ მას მაჯის მთავარი ძარღვი გადაუჭრა, და სისხლმა ნაკადულივით იწყო დენა.

გავიდა რამდენიმე წუთი.

აბდალბეგანი ცუდ გუნებაზე დადგა.

— ვსუსტდები, ამხანაგო, შესჩივლა მან ვანკას.

— ნუ გეშინია, გაამხნევა ის ვანკამ.

სისხლი კვლავ ნაკადულივით გადმოდიოდა.

—თვალთ მიბნელდება, მეგობარო, მეორეხელ შესჩივლა ვანკას აბდალბეგანმა.

— არა უშავს-რა, უპასუხა მას ვანკამ, ცოტა კიდევ მოითმინე.. სისხლი ბარემ კარგათ შემოგადგეს ირგვლივ, თორემ...

— აღარ შემიძლია! ელდანაკრავივით დაიყვირა აბდალბეგანმა და გადაჭრილ ძარღვს ხელი ინსტინქტიურათ დააჭირა.

— რას სჩადიხარ, მეგობარო?. როგორ გეკად-

რება?! ნუ თუ ამის მეტი მოთმინება არა გაქვს? უსაყვედურა მას ვანკამ და ხელი მაგრათ დაუჭირა.

სისხლმა კვლავ თავისუფლათ უწყო დენა.

— ვ კ ვ დ ე ბი... ოდნავ გასაგონი ხმით წარმოსთქვა ქანც-მილეულმა აბდალბეჟანმა..

— ა ა ახ!,—უკანასკნელათ ამოიკვნესა მან და... ტანჯული სული ალახს გაუგზავნა...

მოკვდა საბრალო აბდალბეჟანი, და მის-უპატრონოთ დარჩენილ მიწა-წყალსა და სახლ კარს წითელი სტუმარი დაეპატრონა.

მისი მიზანიც ეს იყო..

d

ერთსულოვანი რეზოლიუცია

აზერბეიჯანის ასკერებმა ერთხმათ მიიღეს რეზოლიუცია, რომლითაც დიდ მადლობას უძღვნიან საბჭოთა რუსეთს აზერბეიჯანში შემოსვლისათვის: თქვენს ჩამოსვლამდი ჩვენ ბეგების მონები ვიყავით, ეხლა კი თავისუფალი მოქალაქენი გავხდითო.

(კომუნისტურ გაზეთიდან).

კომუნისტები თბილისში.

I **კომუნისტი.** Съ нами крестная сила! Тришка, что это? никакъ, текетъ! изъ желѣза вода текетъ!

I **коми́ ѵнисти.** Елки зеленыя! а папиросъ-то сколько?! а табаку! и въ коробочкахъ!

II **коммунисти.** Хорошо-бы, Митюха, того... цапъ-царапъ и айда!

I კომუნისტი. Ну какъ ты думаешь, Трипка: скажемъ, этта... вотъ, мы съ тобой сѣли и принялись за все это добро!.. во сколько времени мы бы его... того... слопали-бы а?.



I კომუნისტი. Это, видишь-ли, такая ляктрическая машина, транвай называется... при режимѣ и у насъ была въ Москвѣ... сама собой бѣжитъ и народъ развозитъ...



II კომუნისტი. А еще хвастаютъ, что у нихъ революція была и переворотъ произошолъ!.. тоже, социалисты! на машинѣ разъѣзжаютъ!..

I კომუნისტი. Это, Тришка, такая орудія производства, мятла называется, ею улицы подмятаютъ, а може, и дома.

II **კომუნისტი**. Ба, что за чортъ! безъ комиссара работаютъ! сами, ей-ей, сами, безъ комиссара!

II **კომუნისტი**. Митюха, что это за огоньки развѣшены на улицахъ? тутъ не безъ нечистой силы!

I **კომუნისტი**. Это люменацыя навывается... должно, людей разстрѣляли, вотъ и празднуютъ!



საქართველოს კომუნისტები. (საქართველოს 'დემოკრატიას), აშენეთ, აშენეთ! „ჩვენთვის ლეგალური მდგომარეობა კერპი არ არის!“ თუ საჭიროთ დავინახეთ, ქვეითაც ჩავძვრებით, „პოდპოლიეში“ და იქიდან შემოგიდებთ ნაღმებს!

შექანჯალებულის ლექსები.

არიმ-ჯანი, თურიმჯანი,
მქავა ტვინი, მქავა ტანი,
რას ჩადის დიდი ბრიტანი?
სურს შექმნას აჭარისტანი.
სამშობლოვ ჩემო, ხედავ ხორც მეტად,
მტრის გასახარად და მტრის იმედათ,
სურთ რომ მოგაკრან ტანზე სხვა ტანი,
ამ შ მთხვევაში ,,აჭარისტანი‘‘,
აღარ დაინდო ასჭერ ,,ის‘‘ ტანი—
სხეული დროზე გააჯანსაღე,
კარები შენს სახლს შენვე შეაღე,
და მტრებს მტრულადა ხელი შეახე
მტერთა ფლიდობა, შური ხომ ნახე,
რაღას უყუროთ, რაღას უცადოთ,
ჩვენსავ უბეში გველნი რად ვზარდოთ,
რომ მოგვიშხამონ ნორჩი სხეული,

ვერაგნო მტერნო, იყავთ წყეული!!,
ხანმოკლე არის ზეიმი თქვენი,
საქმე დაიწყეთ ბილწ-შესარცხვენი,
წამოგვისიეთ თუმც ძმებსა-ძმები,
სულ მალე ვნახავთ, რომ თქვენივ თმები,
სიმწარით თქვენივ ხელით გეგლიჯოთ,
რად მუხანათობთ? შესდგეთ,—არ გიჯობთ,
ნუ გულ ზვიადობთ, შურით ნუ გიქობთ,
თორემ ბატის ფრთებს ცხვირში გაგირჭობთ.
ვირზე შეგაქენთ, ისე გაგიშვებთ,
თქვენი რა ვარგა—გარდა ჯორების,
ტანად—ფეხებ მწვრილ, ფაფარ სწორების,
გიყვართ ფლიდობა, გუდით ქორები...
(მე მომწონს მხოლოდ თქვენი ჯორები)
წადით, თქვენ ადრე მოსაშორებნო!!
(თქვენ კი აქ დარჩით კოხტა ჯორებო)
წადით, წაიღეთ მტრობის შმორები..
ჩვენ კი დაგვრჩება თქვენი ჯორები.

კომუნისტური მუშაობა

გამვლელი. Эй, паренекъ! Брось ты это, не разрушай.. **вѣдь** этотъ домъ тебѣ же пригодится!

კომუნისტი. (ანგრევს) Не твоего ума дѣло, проваливай! сказано — буржуазный **строй** разрушить надо.. кто же, по твоему, этотъ домъ **строилъ**-то? не буржуй, что-ли?

აბა, ტაში! ჩარი, ჩარი!
მოვრჩე ბარემ-მიტომ ვჩქარი..
გამითავდა, ჰა, ფანქარი,
თავში მიბერავს თან ქარი,
დავათავო მომეთ ნება,
იქონიეთ მოთმინება...
მკითხველნო! თქვენ ღვთის წყალობა!!
ჩვენს ბაშევიკთ ლეგალობა,
სხვა და სხვა ჰანგზე გალობა,
(მენშევიკებზე მწყრალობა),
ხანდისხან „ნეიტრალობა",
ხანდისხან ბრაზით მთვრალობა,
გულს ბოლმა დანაგუბები—
მომართეს როგორც შუბები,
ნელა, ფრთხილად გვიმიზნებენ,
არ გიკმენთო, გვარწმუნებენ,
საქმეს, სიტყვას გვიწუნებენ
(ჩვენ კარგს მათგან არას ველით)
კბენას მოშლის მორიელი,
აბა, როგორ მოითმინონ,
ვით სჩვევიათ, არ „დაგვკბინონ",
მაგრამ, თქმულა აზრი ბრძნული,
არ შემთხვევით მოჩმახული,
,,შუბი ხალთაში არ დაიმალება",
და ძმებო, თქვენი ფრთხილი გალობა,
ვეჭვობ, რომ საზღვარს ის გადალახავს,
ამას ყოველი ჩვენგანი ნახავს...
ძაღლს ვინც რომ მოკლავს, იგი დამარხავს,
ვინც ჩვენ წაღმა ხნულს უკუღმა ფარცხავს,
სწამდეს ეკლებში წვივს დაიფარცხავს..
ტვინში, რაღაც მკბენს, როდესაც დამცხავს.

შექანჯალებული.

აი კომუნიზმი!

ერთ-მოქმედებიანი კომედია

მომქმედი პირნი:

1. გასულ-ზადე-მუსავატი.
2. მოსულ-ზადე-მუსავატი..
3. თევთიქ ფაშა-იტიხადი.
4. ჰუსეინ-ოღლი-კომუნისტი.
5. მაშადი ოღლი-კომუნისტი.
6. ფედკა პიანჩუშკა-კომუნისტი.
7. გრიშკა რასტრიშკა (ყოფილი ღვდელი)—კომუნისტი.
8. ვასია ჩინოდრალ (ყოფილი ჩინოვნიკი)—კომუნისტი.
9. ორჯონიკიძე—სამხრეთ რუსეთის თვითმყრობელი.
10. ოვანეზ ოვანეზიანც—ყოფილი დაშნაკცაკანი (კომუნისტი).

სცენა I ადერბეიჯანის ყოფილ პარლამენტში

გასულ-ზადე. (მიმართავს დეპუტატებს). ბ—ბო! მე თქვენ მოგიწვიეთ, რომ შეგატყობინოთ ერთი ფრიად საყურადღებო ამბავი. ადერბეიჯანის საზღვრებს მუახლოვდენ ბალშევიკები... (ამ სიტყვის გაგონებაზე უეცრივ წამოცვივდებიან ყველა დეპუტატები)

პირველი დეპუტატი: როგორ? ბოლშევიკები?

მეორე დეპუტატი: როგორ ბოლშევიკები!!!

გასულ-ზადე. (დინჯად) დამშვიდდით, ბ—ბო! დიახ ბოლშევიკები... ნამდვილი, ჭეშმარიტი რუსის ბოლშევიკები...

მოსულ ზადე. (დაღონებული) ეჰ! ეს ოხერი განა არა წუხელის ცუდი სიზმარი ვნახე, მე ჩემთვის ფლავსა ვჭამდი, ამ დროს უეცრივ საიდანღაც მომვარდა ცოფიანი ძაღლი და სულერთიანად შარვალი გამომგლიჯა, დახე! როგორ ამიხდა სიზმარი!

გასულ ზადე. (ირონიით) შარვალი კი არა, სულ უნდა დაეგლიჯე, რაც აქამდის პოლიტიკა ვერ ისწავლე. კაცო! ნუ თუ არ გესმის, რომ ბოლშევიკების მასა ადერბეიჯანისთვის დღევანდელ მომენტში ფრიად ხელსაყრელია. მთავრობის სათავეში ისევ ჩვენ ვიქნებით, ხოლო წითელ არმიელებს გამოვიყენებთ როგორც იარაღს: მიუსევთ საქართველოს და სულ ბოლკირს ავადენთ სომხებს ხომ ჩ ენ თითონაც ვეყოფით...

(გაისმის მხურვალე ტაშის ცემა მთელი პარლამენტისა).

თევთიქ-ფაშა, (აღფრთოვანებით) ავად ეფენდი! გაუმარჯოს ბოლშევიკებს და ქემალ-ფაშას!...

ჰუსეინ-ოღლი | (ერთად)
მაშადი-ოღლი | გაუმარჯოს წითელ ადერბეიჯანს!

პარლამენტის თავმჯდომარე

(მიმართავს დეპუტატებს) ბ—ბო! როგორც ვხედავ, გასულ-ზადეს პოლიტიკას ყველა ეთანხმება... (გაისმის საშინელი ყვირილი: ვეთანხმებით! ვითანხმებით! ვეთანხმებით!..) მაშ შემოუშვათ,

დეპუტატები (ერთხმად) შემოუშვათ! შემოუშვით!.. მობრძანდენ!.. (პარლამენტი ერთხმად სწყვეტავს ბოლშევიკების ბაქოში შემოშვებას და აგზავნის მათთან საგანგებო დელეგაციას ძღვენით).

სცენა II ბაქოს სადგურზე.

ბ—ნი **ორჯონიკიძე** (მიმართავს სადგურზე შეკრებილ ხალხს). ამხანაგებო! მას შემდეგ, რაც ჩვენ რუსეთში კომუნიზმი დავამყარეთ, საბჭოთა რუსეთის მთელი გულის ყური ადერბეიჯანისკენ იყო მიპყრობილი. ჩვენ გადავწყვიტეთ ეხლა ადერბეიჯანის გაწითლება. აბა დავიწყოთ (გაწითლებას ნავთიდან იწყებენ).

ფედკა პიანჩუშკა. (შეზარხოშებული) ამხანაგებო! მე შემომაქვს წინადადება ამხ. ლენინს მოსკოვში 1.000 ვაგონი წითელი ნავთი გაუგზავნოთ საჩუქრად...

ერთი მოქალაქეთაგანი. უკაცრავად, ამხ.! მე მინდა მხოლოდ ერთი ფაქტიური შენიშვნა გავაკეთო. ბაქოში ჩვენ წითელი ნავთი არა გვაქვს. ჩვენი ნავთი მოლურჯო ფერისაა...

ორჯონიკიძე. ამხ—ბო! წაათრიეთ ეს ვიღაც თავხედი კონტრ-რევოლიუციონერია და დახვრი-(კონტრ-რევოლიუციონერს ხვრეტენ).

გრიშკა რასტრიშკა. ამხანაგებო! მე შემომაქვს წინადადება ამხ. ლენინს 46 ვაგონი წითელი ქიშმიში გაუგზავნოთ (უგზავნიან 40 ვაგონ ქიშმიშს)

ვასია ჩინოდრალ. ამხ! მე შემომაქვს! წინადადება გაუგზავნოთ ლენინს 500 ვაგონი წითელი ბრინჯი.

გულუბრყვილო მოქალაქე. თეთრი არ შეიძლება?

ორჯონიკიძე. (გაშმაგებული) ეს აშკარა თეთრ გვარდიელია! დახვრიტეთ! (ხვრეტავენ) ამხ!.. ბაქომ უკვე დაამტკიცა თავისი ერთგულობა, აქ უკვე განხორციელებულია კომუნიზმი ეხლა წავიდეთ განჯისაკენ! (წასვლის დროს კომუნისტები მთელ ბაქოს ცეცხლს უკიდებენ და „აწითლებენ“ ადერბე ჯანს).

III. სცენა განჯის სადგურზე.

ორჯონიკიძე. (მიმართავს სადგურზე შეკრებილ ხალხს) ამხანაგებო! მოგვილოცავს ბრწყინვალე გამარჯვება კონტრ-რევოლიუციაზე! ბაქოში კომუნიზმი უკვე დავამყარეთ, ეხლა ჯერი თქვე ზე მოდგა.

ვასია ჩინოდრალი: ამხ! მე ვიძლევი წინადადებას, განჯამ ამხ. ლენინს 100 ვაგონი პური (ხორბალი) გაუგზავნოს სიჩუქრად!

გულ-უბრყვილო მოქალაქე. (აღშფოთებული) პური ჩვენ თითონ გვინდა! აქაც შიმშილია! რას გვაძლევთ სამაგიეროს?

ორჯონიკიძე. (დაცინვით). სამაგიეროს? ემ საათში წოპიან შაქრებს დაგირიგებთ!.. (ურიგებენ „წოპიან შაქრებს,'' რომელიც ძალიან მწარე თვისებისა გამოდგა. ამ „შაქარმა" სისხლის გუბეები დააყენა განჯაში).

ოვანეს-ოვანესიანც. ამხანაგებო! ადერბეიჯანში უკვე კომუნიზმი დავამყარეთ. წავიდეთ ეხლა საქართველოსკენ! (ისმის წითელ არმიელების ღრიალი: წავიდეთ! წავიდეთ! მიდიან საქართველოსკენ).

IV. სცენა ფოილოს ხიდთან.

ორჯონიკიძე. (უკამანდრებს წითელ არმიელებს) Шагом маршъ! (წითელი არმიელები ერთ ადგილას დგანან და რაღაც ჩოჩქოლი ეტყობათ).

ერთი წითელი არმიელი. ამხ. კომანდრო! წინ არ გვიშვებენ!

ორჯონიკიძე. როგორ თუ არ გიშვებენ? ვინ გელობებათ?

მეორე წითელი არმიელი. საქართველოს ჯარი და გვარდია!

ორჯონიკიძე, მაშ გასწით წითელ ხიდისკენ.

მესამე წითელი არმიელი. ამხ. კომანდირო! არც იქით გვიშვებენ.

ორჯონიკიძე. (სიბრაზის დორბლებსა ჰყრის) Проклятые контр революціонеры! უთხარით, რომ ჩვენ კომუნიზმი გვინდა განვახორციელოთ საქართველოში?

მეოთხე წითელი არმიელი. უთხარით, მაგრამ ასე გვიპასუხეს: ქარისა არც შემოტანილი გვინდა და არც გატანილიო....

ოვანეს-ოვანესიანც. (ამშვიდებს ორჯონიკიძეს) ნუ ჯავრობთ, ამხანაგო! რას იზამთ, საქართველო მოუმზადებელი აღმოჩნდა კომუნიზმისთვის. ძალით ჩვენ იქ ვერას გავხდებით, ისევ დიპლომატიით უნდა დავამარცხოთ საქართველო. (მცირე თათბირის შემდეგ მოსკოვის სოვნარკომთან შეთანხმებით გადაწყეტება საქართველოში დიპლომატიური მისიის გაგზავნა: მისიაში შედიან 100 ელჩი, 200 რწმუნებული და 1500 მრჩეველი, მათში ზოგი ცხენოსანია, ზოგიც ქვეითი).

V სცენა თფილისის სადგურზე.

ბ-ნი **კიროვი.** (შეკრებილ ახალგაზდა კომუნისტებს). ამხანაგებო! ჩვენ აქ ჩამოველით იმიტომ, რომ გადმოქცეთ საბჭოთა რუსეთის სალამი! (გაისმის ტაშის ცემა. შემოჰყავთ ფ. მახარაძე).

ფ. მახარაძე (ტირილით და თმების გლეჯით). ვფიცავ კომუნიზმს, რომ ჩვენ საბჭოთა რუსეთს ძალით ჩამოგვაშორეს, მოიღეთ მოწყალება შეგვაერთეთ ისევ!... ხომ ხედავთ როგორ იტანჯება საქართველოს მშრომელი ხალხი. შეგვაერთეთ ისევ ღვთის გულისთვისა...

ბ-ნი კიროვი. საბჭოთა რუსეთი არასოდეს არ დაივიწყებს საქართველოს მუშებს და გლეხებს. (ამ დროს შემოდის საქართველოს მუშების და გლეხების დელეგაცია).

მუშების და გლეხების წარმომადგენელი მადლობთ, ბ-ნი ელჩო, თანაგრძნობისთვის. მაგრამ გთხოვთ დაგვივიწყოთ, ჩვენ ოპეკუნები აღარ გვჭირდება, რადგანაც დიდი ხანია, რაც საკუთარი გზით დავდივართ. ჩვენ თავს ჩვენ თითონ მოუვლით...

კიროვი. (გაკვირებით). Не понимаю!.. (მიმართავს მრჩეველებს). ეხლა როგორ მოვიქცე?

პირველი მრჩეველი (ჩუმად). წავიდეთ!.

მეორე მრჩეველი (ცოტა მაღლა) წავიდეთ!...

მრჩეველი სერიოჟა ქავთარაძე (ჩუმად). არ წახვიდეთ! დავრჩეთ და დავანგრიოთ!..

მრჩეველი პოპოვი (ცოტა მაღლა) არ წახვიდეთ! ამაზე კაი ადგილას სად წახვალთ? მეც ბევრს მეუბნებოდენ ჩემი ყოფილი ამხანაგები „წადიო," მაგრამ მე ყურიც არ გავიბერტყე ბოლოს, ვითომც კიდეც გადამასახლეს, მაგრამ ბაქოდგან წაველ და კავკავიდან ისევ მოველი. არ წახვიდეთ!..

მესამე მრჩეველი (ხმა მაღლა) წავიდეთ!..

მეოთხე მრჩეველი მაშ ვკითხოთ **საქართველოს** მუშებს და გლეხებს (ჰკითხავენ).

საქართველოს მუშები და გლეხები (ერთხმად): მიბძანდით!. (ფილიპე მახარაძე სიბრაზით წვერებს იგლეჯს, ხოლო სერიოჟა ქავთარაძე— ულვაშებს)..

კიროვი: Да.. с.. ничего съ этимъ народомъ не подѣлаешь, надо уѣхать обратно!.....

(დიპლომატიური მისია ჩემოდნებს ალაგებს და ყველანი მიდიან კავკავში, გარდა სერიოჟა ქავთარაძისა, რომელიც კიროვთან კონფლიკტის შემდეგ ინიშნება მრჩეველად ქემალ-ფაშასთან).

ნესტარი.

უხვი საჩუქარი

წითელმა აზერბეიჯანმა რამდენიმე მატარებლით ძვირფასი საჩუქრები გაუგზავნა საბჭოთა რუსეთის მთავრობას.

(კომუნისტურ გაზეთებიდან)